ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01202953260**
თარიღი: **21/10/2020**
პინი: **8500**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის №60-01202933759 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (დენდროპროექტი, საექსპერტო დასკვნა), რომლითაც მოქალაქე რევაზ ებრალიძის განაცხადის (№AR1776460) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ევროპული სახლის“ (საიდენტიფიკაციო N400160829) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, გლდანი, I მკრ და მუხიანის I მკრ-ს შორის; ს.კ.: 01.11.13.001.124)(სსზ-2) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 11 ძირი ვერხვი, 4 ძირი კვიპაროსი, 1 ძირი ჩვეულებრივი იფანი, ასევე იმავე ტერიტორიაზე გადასარგავი 3 ძირი კვიპაროსი, 3 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 18 ძირი ვერხვი, 1 ძირი თუთა, 1 ძირი ტირიფი, 1 ძირი ცრუაკაცია, 4 ძირი ჩვეულებრივი იფანი და ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად დასარგავი 24 ძირი იაპონური კვიდო, 12 ძირი ირმის რქა, 11 ძირი ხე ტიტა, 11 ძირი ნეკერჩხალი ქორაფი, 11 ძირი ამბრის ხე, 11 ძირი ამერიკული ცაცხვი, 9 ძირი აბრეშუმის აკაცია, 9 ძირი მტირალა ტირიფი და 30 ძირი იტალიური ფიჭვი, სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3000 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების სახეობები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დაამტკიცოს გამწვანების პროექტი.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120279293**
თარიღი: **05/10/2020**
პინი: **7154**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2020 წლის 1 ოქტომბრის N 17-01202752654-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, გლდანი, მიკრო/რაიონი I, და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.13.001.124) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის (AR1776460) შეთანხმებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან და სატრანსპორტო კვლევასთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 27 აპრილის N01201181589-67 წერილის პასუხად N 16-01201321330 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი.

სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი